დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109251775**

თარიღი:**26/06/2025**

,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 63-ე მუხლისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 19 ივნისის №108-1082517019 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.შეთანხმებულ იქნას და შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 08 განკარგულების პირველი პუნქტით შეთანხმებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობაში და ნაცვლად (რიგით მეთერთმეტე) - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი ტექნიკურ საკითხებში, ჩაიწეროს (რიგით მეთერთმეტე) -დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის სპეციალისტი ტექნიკურ საკითხებში.

2. განკარგულება ამოქმედდეს 2025 წლის 01 ივლისიდან.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი